

შპს „ჯიჯი მენეჯმენტის“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში	5
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	7

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“ და მისი საქმიანობა	8
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა -----	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები	16
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	16
5. ძირითადი საშუალებები	21
6. მარაგები.....	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
8. ფული და ფულის ექვივალენტები	23
9. საწესდებო კაპიტალი.....	23
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	24
11. მიღებული სესხი.....	24
12. შემოსავალი	25
13. პირდაპირი ხარჯი.....	25
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	25
15. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	25
16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	26
17. ფინანსური რისკების მართვა.....	27
18. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	28
19. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება-----	28
20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	29
21. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	30

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯიჯი მენეჯმენტის“ („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერი

დირექტორი

გენადი გელაძე -----

22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერი

დირექტორი

გენადი გელაძე



22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	465 996	1 519 274
გადახდილი ავანსები	7	22 897	43 223
გაცემული სესხები		151 916	106 430
მიმდინარე მარაგები	6	2 369 444	2 144 224
სავაჭრო მოთხოვნები	7	531 223	221 412
სხვა მიმდინარე აქტივები	7	1 733 317	37 836
გუდვილი		14 088	-
სხვა არამატერიალური აქტივები		39 010	18 050
ძირითადი საშუალებები	5	952 994	807 630
სულ აქტივები		6 280 884	4 898 079
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	10	1 578 617	1 465 514
სხვა ფინანსური ვალდებულებები		3 021	-
საგადასახადო ვალდებულება		5 560	157 683
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		95 773	69 972
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		20 100	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1 907 629	1 947 697
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		300 111	11
სულ ვალდებულებები		3 910 811	3 640 877
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		15 726	83 444
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2 354 347	1 173 758
სულ საკუთარი კაპიტალი		2 370 073	1 257 202
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6 280 884	4 898 079

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს.

დირექტორი

გენადი გელაძე



22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“


მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	12	1 833 025	10 785 133
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(650 850)	(7 603 321)
პერსონალის ხარჯი		(348 542)	(220 375)
საკონსულტაციო ხარჯი		(10 000)	(12 712)
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		-	1
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(1 987)	(681)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(20 694)	(2 527)
იჯარის ხარჯი		(40 758)	-
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(1 051)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(18 077)	(3 228)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(343 697)	(134 820)
საოპერაციო მოგება		397 369	2 807 469
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით			
ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	14	(127 584)	(457 363)
სხვა ფინანსური შემოსავალი	14	1 339 080	102 876
სხვა ფინანსური ხარჯი	14	(259 210)	(828 173)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(128 691)	(203 575)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 220 964	1 421 234
განგრძობითი ოპერაციებიდან		1 220 964	1 421 234
მოგების გადასახადი		(25 801)	(63 466)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		1 195 163	1 357 768
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)		1 195 163	1 357 768

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს.

დირექტორი

გენადი გელაძე



22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	რეზერვი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	444	(184 011)	-	(183 567)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	83 000	-	-	83 000
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	1 357 768	-	1 357 768
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83 444	1 173 757	-	1 257 201
საწარმოთა გაერთიანება		(14 573)		(14 573)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(67 718)	-		(67 718)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		1 195 163	-	1 195 163
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 726	2 354 347	-	2 370 073

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი

გენადი გელაძე



22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“


ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2 019	2 018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	1 080 053	2 009 367
მიღებული ავანსები	593 697	2 557 217
გაცემულია მომწოდებლებზე	(1 098 769)	(2 590 861)
გაცემული ავანსები	(43 893)	(1 436 183)
გაცემული/მიღებული ანგარიშვალდებულ პირზე	(55 099)	(14 282)
გადახდილი გადასახადები	(686 023)	(943 439)
გადახდილია ხელფასები	(375 328)	(1 206 150)
კაპიტალის შევსება	(68 300)	83 000
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(33 608)	(25 202)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(687 271)	(1 566 533)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	2 033 040	3 705 296
გადახდილი სესხი	(2 205 447)	(5 310 863)
გადახდილი პროცენტი	(176 569)	(819 923)
გაცემული სესხი	(246 046)	(24 280)
დაბრუნებული სესხი	187 244	
საწარმოთა გაერთიანება	24 058	
მიღებული პროცენტი		85 735
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(383 720)	(2 364 035)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(1 070 991)	(3 930 567)
საკუროსო სხვაობის ხარჯი/შემოსავალი	17 712	(75 014)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	1 519 273	5 524 854
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	465 995	1 519 273

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი

გენადი გელაძე



22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	465 996	1 519 274
გადახდილი ავანსები	7	22 897	43 223
გაცემული სესხები		151 916	106 430
მიმდინარე მარაგები	6	2 369 444	2 144 224
სავაჭრო მოთხოვნები	7	531 223	221 412
სხვა მიმდინარე აქტივები	7	1 733 317	37 836
გუდვილი		14 088	-
სხვა არამატერიალური აქტივები		39 010	18 050
ძირითადი საშუალებები	5	952 994	807 630
სულ აქტივები		6 280 884	4 898 079
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	10	1 578 617	1 465 514
სხვა ფინანსური ვალდებულებები		3 021	-
საგადასახადო ვალდებულება		5 560	157 683
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		95 773	69 972
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		20 100	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1 907 629	1 947 697
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		300 111	11
სულ ვალდებულებები		3 910 811	3 640 877
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		15 726	83 444
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2 354 347	1 173 758
სულ საკუთარი კაპიტალი		2 370 073	1 257 202
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6 280 884	4 898 079

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს.

დირექტორი

გენადი გელაძე -----

22 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	12	1 833 025	10 785 133
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(650 850)	(7 603 321)
პერსონალის ხარჯი		(348 542)	(220 375)
საკონსულტაციო ხარჯი		(10 000)	(12 712)
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		-	1
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(1 987)	(681)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(20 694)	(2 527)
იჯარის ხარჯი		(40 758)	-
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(1 051)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(18 077)	(3 228)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(343 697)	(134 820)
საოპერაციო მოგება		397 369	2 807 469
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით			
ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	14	(127 584)	(457 363)
სხვა ფინანსური შემოსავალი	14	1 339 080	102 876
სხვა ფინანსური ხარჯი	14	(259 210)	(828 173)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(128 691)	(203 575)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 220 964	1 421 234
განგრძობითი ოპერაციებიდან		1 220 964	1 421 234
მოგების გადასახადი		(25 801)	(63 466)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		1 195 163	1 357 768
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)		1 195 163	1 357 768

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს.

დირექტორი

გენადი გელაძე -----

22 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	რეზერვი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	444	(184 011)	-	(183 567)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	83 000	-	-	83 000
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	1 357 768	-	1 357 768
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83 444	1 173 757	-	1 257 201
საწარმოთა გაერთიანება		(14 573)		(14 573)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(67 718)	-		(67 718)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		1 195 163	-	1 195 163
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 726	2 354 347	-	2 370 073

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი

გენადი გელაძე -----

22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2 019	2 018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	1 080 053	2 009 367
მიღებული ავანსები	593 697	2 557 217
გაცემულია მომწოდებლებზე	(1 098 769)	(2 590 861)
გაცემული ავანსები	(43 893)	(1 436 183)
გაცემული/მიღებული ანგარიშვალდებულ პირზე	(55 099)	(14 282)
გადახდილი გადასახადები	(686 023)	(943 439)
გადახდილია ხელფასები	(375 328)	(1 206 150)
კაპიტალის შევსება	(68 300)	83 000
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(33 608)	(25 202)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(687 271)	(1 566 533)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	2 033 040	3 705 296
გადახდილი სესხი	(2 205 447)	(5 310 863)
გადახდილი პროცენტი	(176 569)	(819 923)
გაცემული სესხი	(246 046)	(24 280)
დაბრუნებული სესხი	187 244	-
საწარმოთა გაერთიანება	24 058	-
მიღებული პროცენტი	-	85 735
გაცემული დივიდენდი	-	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(383 720)	(2 364 035)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(1 070 991)	(3 930 567)
საკურსო სხვაობის ხარჯი/შემოსავალი	17 712	(75 014)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	1 519 273	5 524 854
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	465 995	1 519 273

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი

გენადი გელაძე -----

22 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“ და მისი საქმიანობა

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“ ფუნქციონირებს 2016 წლიდან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

გენადი გელაძე -100%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ორგანიზება, მშენებლობა, არქიტექტურა დიზაინი, საკონსულტაციო და საშუაშაგლო მომსახურებები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს წილებს:

კომპანიის დასახელება	31.12.2018 წილობრივი ფლობა	31.12.2019 წილობრივი ფლობა	შემენის დაფუძნების წელი	საქმიანობა
შპს „გ2 ბილდინგი“	100%	100%	2016	მშენებლობა
შპს „აგრო ქსელი“	0	100%	2019	მშენებლობა
შპს „ჯი კვადრატ“	100%	100%	2018	მშენებლობა

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი გრ. გურიელის ქ. N 32

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი გრ. გურიელის ქ. N 32

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს მე-11 განყოფილების თანახმად, საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ამორტიზებული ღირებულების მოდელი, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

საზოგადოდ, საწარმო ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში, თუ წინამდებარე სტანდარტით არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ღირებულების განსაზღვრა სხვა საფუძველით, მაგალითად თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში შეფასდება სხვა საფუძველით.

ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი), ან გადაფასებულ ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (გადაფასების მოდელი).

მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და გაუფასურების ზარალს აღიარებს ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და
- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით.

მომავალი ეკონომიკური სარგებლის აღზატობა

ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში აღზატობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

უმცირესი ღირებულებებით აქტივების შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, რა სიდიდის სარგებლის მიღებასაც მოელის საწარმო აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

არაფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

საწარმომ ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში აღრიცხოს ერთერთი შემდეგი მეთოდით: თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით; რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში; ან

წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს მსს ფასს-ს, ამგვარ ინვესტიციას აფასებს თვითღირებულებით, მან ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის ეს ინვესტიცია უნდა შეაფასოს შემდეგი სიდიდეებიდან ერთ-ერთით:

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
მიწა	-
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოიწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: (ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს აღწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“; (ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელიც აღიარებულია მე-20 განყოფილების - „იჯარა“ - შესაბამისად; და (გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701
ლარი/1 თურქული ლირა	0.4821	0.5076

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის

დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოებასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კონსოლიდაციის საფუძველები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ისე რომ მიიღოს სარგებელი მისი

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესების წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში, შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არა აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირების ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოქმედების სფერო

უფლებამოსილება

ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი (ძალაში შესული) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების (ე.ი. საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს.

უფლებამოსილება წარმოიშობა უფლებებიდან. ზოგჯერ მარტივია უფლებამოსილების დადგენა, მაგალითად, როდესაც ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორიცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან.

ინვესტორს, რომელსაც გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა, უფლებამოსილება მაშინაც კი აქვს, თუ ჯერ არ მომხდარა მისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება. მტკიცებულება იმისა, რომ ინვესტორს განხორციელებული აქვს რელევანტური საქმიანობების მართვა, შეიძლება ინვესტორს დაეხმაროს იმის დადგენაში, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად, გადამწყვეტი არ არის იმის დასადგენად, აქვს თუ არა ინვესტორს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თუ ორ ან რამდენიმე ინვესტორს, თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით იმ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება შეიძლება იმ შემთხვევაშიც გააჩნდეს, თუ სხვა საწარმოებს აქვთ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მათ მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად, როდესაც სხვა საწარმოს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ დამცავი უფლებები აქვს, არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მართალია, მხოლოდ ერთ ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელება, მაგრამ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებს შეიძლება რამდენიმე მხარე იყოფდეს. მაგალითად, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მოგებაში, ან ინვესტირებული საწარმოს მიერ განხორციელებულ განაწილებებში. ინვესტორმა, მიუხედავად მისი მონაწილეობის ხასიათისა ამა თუ იმ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;
- ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და
- გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

არამაკონტროლებელი წილი

საწარმომ მოგება, ან ზარალი და ` სხვა სრული შემოსავლის - თითოეული კომპონენტი უნდა გაანაწილოს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, საწარმომ მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე უნდა გაანაწილოს მთლიანი სრული შემოსავალიც, თუნდაც ამან გამოიწვიოს არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი ნაშთი.

გუდვილი

გუდვილი (ბასს 38) მოიცავს მითითებებს მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირების, საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრისა და ამ ღირებულების განაწილების წესის შესახებ შეძენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ანარიცხებზე;

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სტრუქტურულად საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით, იურიდიული, საგადასახადო ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ეს შეიძლება იყოს ერთი საწარმოს მიერ მეორის საკუთარი კაპიტალის შესყიდვა, ერთი საწარმოს მიერ მეორის ყველა წმინდა აქტივის შეძენა,

ერთი საწარმოს მიერ მეორის ვალდებულებების თავის თავზე აღება,

ან ერთი საწარმოს მიერ მეორის ზოგიერთი წმინდა აქტივების შეძენა, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე სამეურნეო ერთეულს (ბიზნესს).

საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია განხორციელდეს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების, ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების, ან სხვა აქტივების გადაცემის, ან ზემოაღნიშნული მეთოდების კომბინირებულად გამოყენების მეშვეობით. ოპერაციაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ გასაერთიანებელი საწარმოების აქციონერები, ან ერთი საწარმო და მეორე საწარმოს აქციონერები. საწარმოთა გაერთიანება შეიძლება მოიცავდეს ახალი საწარმოს დაფუძნებას გაერთიანებულ საწარმოებზე ან გადაცემულ წმინდა აქტივებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ან ერთი ან მეტი გასაერთიანებელი საწარმოს (ერთეულის) რესტრუქტურირაციას.

საწარმომ ნებისმიერი საწარმოთა გაერთიანება უნდა ასახოს შეძენის მეთოდით.

შეძენის მეთოდის გამოყენება საჭიროებს:

(ა) მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციას;

(ბ) საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრას; და

(გ) შეძენის თარიღისათვის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების გადანაწილებას შეძენილ აქტივებზე, აღებულ ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებზე. მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია

საწარმოთა ყოველი გაერთიანებისთვის აუცილებელია მყიდველი საწარმოს დადგენა. მყიდველი არის ის საწარმო, რომელიც მოიპოვებს კონტროლს სხვა საწარმოზე ან სამეურნეო ერთეულზე

იმის დასადგენად, როდის მოიპოვა მყიდველმა საწარმომ კონტროლი, აუცილებელია საწარმოთა გაერთიანების თანმდევი ყველა შესაფერისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინება. მყიდველი საწარმო განცალკევებით აღიარებს შეძენილი საწარმოს მხოლოდ იმ იდენტიფიცირებად აქტივებს, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებს, რომლებიც არსებობს შეძენის თარიღისათვის და აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.

მაშასადამე: (ა) მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს საქმიანობის შემცირებასთან ან მთლიანად შეწყვეტასთან დაკავშირებული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილების მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს, თუ შეძენილ საწარმოს შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქვს რესტრუქტურირაციასთან დაკავშირებული ვალდებულება, და (ბ) მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილებისას არ უნდა აღიაროს ვალდებულებები

გუდვილი

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღით:

(ა) უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აქტივად; და

(ბ) თავდაპირველად გუდვილი შეაფასოს თვითღირებულებით, რაც იქნება საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იმ იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი უნდა ასახოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით:

(ა) გუდვილის ამორტიზაცია

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თუ შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, იგი უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;

(ბ) გუდვილის გაუფასურების აღიარებასა და შეფასებასთან დაკავშირებით საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს - „აქტივების გაუფასურება“ - მოთხოვნებით.

გუდვილის ცალკე გაყიდვა შესაძლებელი არ არის. გუდვილი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს საწარმოს ფულად ნაკადებს. ამის გამო, გუდვილის რეალური ღირებულების პირდაპირი შეფასება შეუძლებელია. მაშასადამე, გუდვილის რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულ(ებ)ის რეალური ღირებულების მიხედვით, რომლის შემადგენელ ნაწილიცაა გუდვილი.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი, შეძენის თარიღიდან დაწყებული, განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.

თუ შეუძლებელია დასაბუთებული საფუძველით გუდვილის მიკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფებზე), მაშინ გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმომ უნდა განსაზღვროს ან:

(ა) მთელი შეძენილი საწარმოს ანაზღაურებადი ღირებულება, თუ გუდვილი მიეკუთვნება შეძენილ საწარმოს, რომლის ინტეგრირება არ მომხდარა (ინტეგრირება გულისხმობს შეძენილი საწარმოს რესტრუქტურირებას, ან მის დანაწევრებას და გაერთიანებას ანგარიშგაღებულ ან სხვა შვილობილ საწარმოებში); ან

(ბ) საწარმოთა მთელი ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, გარდა იმ საწარმოებისა, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა, თუ გუდვილი მიეკუთვნება საწარმოს, რომლის ინტეგრირებაც განხორციელდა.

საწარმომ გუდვილი უნდა დაყოს ნაწილებად: გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრირებულ საწარმოებთან და გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოებთან, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა. ამასთან, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების შესახებ ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნები, როდესაც ანგარიშობს შეძენილი საწარმოს, ან საწარმოთა ჯგუფის აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას და მათში შემავალ აქტივებზე ანაწილებს გაუფასურების ზარალსა და მისი აღდგენის (კომპენსირების) თანხებს.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“-ის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, არის შემდეგი:

	მიწა	სამშენებლო ხელსაწყოები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	-	-	-	2 500	-	2 500
შესყიდვა	737 360	-	45 156	-	23 673	806 189
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	737 360	-	45 156	2 500	23 673	808 689
შესყიდვა	22 500	94 291	-	31 286	16 240	164 317
რეალიზაცია	-	(93)	-	-	(266)	(359)
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	759 860	94 198	45 156	33 786	39 647	972 647
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	-	-	313	746	1 059
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	7 653	2 258	813	8 930	19 654
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	737 360	-	45 156	2 187	22 927	807 630
31 დეკემბერი 2019	759 860	86 544	42 898	32 974	30 717	952 993

შპს „გ 2 ბილდინგმა“ 2018 წლის 6 მარტს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან, 1 (ერთ) ლარად შეისყიდა, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (საკადასტრო კოდი 05.25.11.384). ხელშეკრულების თანახმად შპს გ2 ბილდინგი ვალდებულია :

- 1) 2019 წლის ბოლომდე უზრუნველყოს 5001 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.25.11.383 მშენებლობის დასრულება/ექსპლუატაციაში გაშვება.
- 2) ხელშეკრულების გაფორმებიდან 48 თვის ვადაში უზრუნველყოს, ერთ ლარად გადაცემულ 2 836 კვ.მ მიწაზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება;
- 3) ხელშეკრულების გაფორმებიდან 48 თვის განმავლობაში უზრუნველყოს ჯამში ორივე მშენებლობის ფარგლებში (ს/კ 05.25.11.383 და 05.25.11.384) არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;
- 4) მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების სანაცვლოდ (ს/კ 05.25.11.384) რომელიც შეადგენს 737 360 ლარს, უზრუნველყოს ამავე საკადასტრო ერთეულზე, ასაშენებელი მრავალფუნქციურ

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა-ნაგებობაში განსათავსებელი, საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულების შესაბამისი, არანაკლებ 850 კვ.მ საცხოვრებელი ფართის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის საკუთრებაში გადაცემა.

- 5) საკადასტრო ერთეულზე 05.25.11.384 უზრუნველყოს განთავსებული სპორტული მოედნის მუდმივად შენარჩუნების ან ახალი სპორტული მოედნის მოწყობა (საჭიროების შემთხვევაში). საკადასტრო ერთეულზე 05.25.11.384 მშენებარე კორპუსის ნაწილი დატვირთულია ბანკის იპოთეკით.

აღნიშნული პირობებიდან 1 პუნქტი საანგარიშგებო პერიოდში შესრულებულია. ხოლო რაც შეეხება სხვა პირობებს, მიმდინარეა და ჯერ არ შესრულებულა;

2018 წლის 27 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივეტიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N1-1/1537 ბრძანების და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „გ2 ბილდინგსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 ნოემბრის N2230 განკარგულების საფუძველზე, საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: 1) ქალაქ ბათუმი, ლერმონტოვის ქ N141, 1156 კვ.მ მიწის ნაკვეთი (05.26.30.010), და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მშენებარე ობიექტი 9266,29 კვ.მ); 104,51 2-ერთეული კვ.მ კომერციული ფართი (მშენებარე); 98,58 კვ.მ 2-ერთეული კომერციული ფართი (მშენებარე; 163,60 კვ.მ 2-ერთეული კომერციული ფართი; 2 000 000 (ორი მილიონი) ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებით.

2019 წლის ივნისის თვიდან კომპანიამ დაიწყო აღნიშნული პროექტის მშენებლობა.

6. მარაგები

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია

მარაგები	2 019	2 018
ნედლეული და მასალა	258 311	1 480
დაუმთავრებელი წარმოება	580 143	
მზა პროდუქცია	1 523 393	2 142 744
სხვა მარაგები	7 598	
ჯამი	2 369 444	2 144 224

2018 წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში შევიდა აშენებული საცხოვრებელი სახლი (კორუსი I, II) , საერთო ფართობი 37832,73 კვ.მ.

2019 წელს მზა პროდუქციის სახით ჯგუფს ერიცხება გასაყიდად გამზადებული საცხოვრებელი ბინები და კომერციული ფართები;

მშენებარე ბინები დაგირავებულია ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად.

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დებიტორული დავალიანება და ავანსები	2 019	2 018
დებიტორული დავალიანება	531 223	221 412
ჯამი	531 223	221 412

„ჯგუფი“ ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებების მიხედვით, დებიტორული მოთხოვნები მიმდინარეა.

2019 წელს სხვა მიმდინარე მოთხოვნების სახით ჯგუფს ერიცხება 1 733 317 ლარი, საიდანაც 1 500 000 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას ფ/პ ალი ბაკურიძის მიმართ, რომელიც წარმოიქმნა შპს „დაციტი“-ს 52 %-წილის რეალიზაციიდან და რომელიც დეტალურადაა განმარტებული ანგარიშგების შენიშვნების მე-9 მუხლში;

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვი.	2 019	2 018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	465 981	54 847
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16	1 464 427
სულ	465 996	1 519 274

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

გენადი გელაძე -100%

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორებზე.

2017 წლის 17 ივლისის ხელშეკრულებით, სს ტერაბანკში სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულია შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“-ის 100 % წილი.

2019 წლის სექტემბრის თვეში ჯგუფის მიერ მოხდა შპს დაციტის პარტნიორების წილების, ჯამში: 52% (რამინ გელაძის 24%, თამაზ გელაძის 14%, მალხაზ გელაძის 14%) სიმბოლურ ფასად 1(ერთი)

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარად შპს „ჯიჯი მენეჯმენტის“ საკუთრებაში გადაცემა; ამავე წლის ოქტომბრის თვეში შპს „ჯიჯი მენეჯმენტის“ შპს „დაციტში“ თავისი კუთვნილი 52% წილი სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადასცა შვილობილ კომპანიას შპს „გ2 ბილდინგს“. შპს „გ2 ბილდინგმა“ კი თავის მხრივ 2019 წლის 24 ოქტომბერს აღნიშნული შპს „დაციტის“ 52% წილი 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარად საკუთრებაში გადასცა ალი ბაკურიძეს.

2018 და 2019 წელს პარტნიორზე დივიდენდი არ გამოცხადებულა.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

კრედიტორული დავალიანება	2 019	2 018
სავაჭრო ვალდებულებები	746 947	848 506
მიღებული ავანსები	831 669	617 008
ჯამი	1 578 616	1 465 514

2015 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ქალაქ ბათუმში, გიორგი ლეონიძის N4ე-ში მდებარე 5001,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.25.11.383) დაიწყო ორი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლებშიც 208 ბინა განკუთვნილია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფლებში: წაბლანასა და წაბლიანში მცხოვრები ოჯახებისთვის. მშენებლობა ეკომიგრანტების მიერ დაფუძნებულმა ამხანაგობამ დაიწყო, თუმცა 8 სართულის აშენების შემდეგ ფინანსები ამოიწურა, მშენებლობა შეჩერდა და დაიწყო სასამართლო დავა. შეჩერებული მშენებლობა შპს „გ2 ბილდინგმა“ გადმოიბარა. 2017 წლის მდგომარეობით: კომპანიის დავალიანება ბინათმშენებლობა ამხანაგობა წაბლანა-2015 ის მიმართ შეადგენს 1 854 408 ლარს.

კომპანიამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადასცა 164 ბინა.

11. მიღებული სესხი

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს ტერა ბანკი	USD	12,5%	2019	134 395	1 516 947
ფ/პ გენადი გელაძე	USD	18,0%	2020	-	190 057
სს ტერა ბანკი	USD	12,5%	2019	678	175 193
შპს „სათემო დაინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ჯგუფი“	GEL	18,0%	2020	4 000	4 000
სს ტერა ბანკი	USD	12,5%	2021	227 240	
სს ტერა ბანკი	USD	12,5%	2021	793 838	
სს ტერა ბანკი	USD	12,5%	2021	747 478	

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფ/პ ნუგზარ გელაძე	USD	18,0%	2020	-	61 500
სულ სესხები				1 907 629	1 947 697

ჯგუფს მიღებული აქვს სესხი დაკავშირებული მხარეებისგან: კერძოდ ფ/პ გენადი გელაძე, რომელიც წარმოადგენს მშობელი საწარმოს დამფუძნებელს და ფ/პ ნუგზარ გელაძისგან, რომელიც არის შპს გ2 ბილდინგის დირექტორი.

12. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლის წყაროა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების რეალიზაცია:

	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1,833,025	10,785,133
სულ შემოსავალი	1,833,025	10,785,133

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

„ჯგუფს“ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სახით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 650,850 ღირებულების ჩამოწერილი ბინები.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები	2019	2018
ბანკის საკომისიო	10623,79	15861
სოციალური დანარიცხები	5770,5	
მომსახურების ხარჯი	157752	6931
გაყიდვებიდან ბონუსის ხარჯი	5992	
ლოგო ბრენდი და ვებ საიტის დამზადება, სარეკლამო ხარჯი	14175	25983
სხვა საერთო ხარჯი	149384	86 045
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:	343 697	134 820

15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	20 157	17 141
სხვა ფინანსური შემოსავალი	1 314 854	
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	4 070	85 735
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	1 339 080	102 876

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	179 323	824 846
სხვა არასაოპერაციო ზარალი	79 887	3 326
სულ არასაოპერაციო/ფინანსური ხარჯი, წმინდა	259 210	828 172

	2019	2018
საკურსო სხვაობის შედეგი		
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	33 908	23 706
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	161 491	481 069
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	(127 584)	(457 363)

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანია შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

18. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

19. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

შემდეგი ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

აქტივები	შენიშვნა	წინა პერიოდში წარდგენილი 2018 წელი	ცვლილება ა 2018	რეკლასიფიკაცია 2018	კორექტირებული 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		1 519 274			1 519 274
გადახდილი ავანსები		43 223			43 223
გაცემული სესხები	19.1	14 730	91 700		106 430
მიმდინარე მარაგები		2 144 224			2 144 224
სავაჭრო მოთხოვნები		221 412			221 412
სხვა მიმდინარე აქტივები	19.1	6 888	30 948		37 836
სხვა არამატერიალური აქტივები		18 050			18 050
ძირითადი საშუალებები		807 630			807 630
სულ აქტივები		4 775 431	122 648		4 898 079
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები		1 465 514			1 465 514
საგადასახადო ვალდებულება				157 683	157 683
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება				69 972	69 972
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1 947 697			1 947 697
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		227 655	11	(227 655)	11
სულ ვალდებულებები		3 640 866	11	-	3 640 877
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		83444			83 444

შპს „ჯიჯი მენეჯმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1051121	122 637		1 173 758
სულ საკუთარი კაპიტალი	1 134 565	122 637	-	1 257 202
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4 775 431	122 648	-	4 898 079

	შენიშვნა	წინა პერიოდში წარდგენილ ი 2018 წელი	ცვლილება 2018	რეკლასიფიკაცი ა 2018	კორექტირებულ ი 2018
ამონაგები		10 785			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		133			10 785 133
პერსონალის ხარჯი		(7 603 321)			(7 603 321)
საკონსულტაციო ხარჯი		(220 375)			(220 375)
საკონსულტაციო ხარჯი		(12 712)			(12 712)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(681)			(681)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(2 527)			(2 527)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3 228)			(3 228)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(134 791)	(29)		(134 820)
საოპერაციო მოგება		2 807 498	(29)	-	2 807 469
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		-457363			(457 363)
სხვა ფინანსური შემოსავალი		86762	16 114		102 876
სხვა ფინანსური ხარჯი		-824846		(3 327)	(828 173)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-206902		3 327	(203 575)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 405 149	16 085	-	1 421 234
მოგების გადასახადი		(63 466)			(63 466)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		1 341 683	16 085	-	1 357 768
შეწყვეტილი ოპერაციები					
მოგება/(ზარალი)		1 341 683	16 085	-	1 357 768

19.1 კომპანიას 2018 წელს კონსოლიდაციაში არ ქონდა გათვალისწინებული ერთ ერთი შვილობილი კომპანიის შპს „ჯი კვადრატის“ საბალანსო მუხლები, შესაბამისად 2019 წლის ანგარიშგების მომზადებისას საჭირო გახდა წინა საანგარიშგებო პერიოდების საბალანსო მუხლების ცვლილება.

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

COVID-19 – ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალურმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ შემოსავალზე, თუმცა არც ისეთი მკვეთრი არ ყოფილა, როგორც მოლოდინიც იყო, რადგან საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ კომპანიამ მალევე შეძლო

ფუნქციონირების ჩვეულ რეჟიმში განახლება, შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

21. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად შეძენილი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების სანაცვლოდ (ს/კ 05.25.11.384) , რომელიც შეადგენს 737 360 ლარს, კომპანიამ 2020 წლის მარტის თვეში უზრუნველყო ამავე საკადასტრო ერთეულზე ასაშენებელი მრავალფუნქციურ შენობა-ნაგებობაში განსათავსებელი საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულების შესაბამისი, არანაკლებ 850 კვ.მ საცხოვრებელი ფართის, გადაცემა.